პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 188-ე მუხლის:

1) პირველი ნაწილის ცხრილის მე-3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

3	**თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი**			
	2401	თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები	1 კგ	30
	2402 10 000 01	– –სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	2.1
	2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2.4
	2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2.75
		– ადგილობრივი წარმოების სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით, ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე	20 ღერი	1.3
	2403 11 000 00	–– ჩილიმით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1- ელი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	30
	2403 19	– – დანარჩენი	1 კგ	30
	2403 91 000 00	– – ჰომოგენიზებული ან აღდგენილი თამბაქო	1 კგ	30
	2403 99 100 00	– – – საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	30
	2404 11 000 00	– – თამბაქოს ან აღდგენილი თამბაქოს შემცველობით	20 ცალი / ღერი	1.85
	2404 12 000 00	– – დანარჩენი, ნიკოტინის შემცველობით	1 მლ	1.2
	2404 19 900 00	– – – დანარჩენი	1 მლ	1.2

2) 1^1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის/უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 20 პროცენტის ჯამი;

3)1^1 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^1$“ ქვეპუნქტი:

„$ა^1$) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტებისათვის/უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 15 პროცენტის ჯამი;“

3) მე-10 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 ნაწილი:

„11. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე ადგილობრივი წარმოების სიგარეტისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-3 გრაფით დადგენილი განაკვეთის გამოყენების წესი და პირობები, ასევე კვოტირების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**